# სანაშენე მეცხოველეობის შესახებ

## თავი I.

## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

სანაშენე მეცხოველეობა მოწოდებულია უზრუნველყოს სანაშენე ცხოველთა აღწარმოების პროცესი, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პროდუქტიული თვისებების გაუმჯობესებას, განსაზღვრული მაღალპროდუქტიული ჯიშების მოშენებას, სანაშენე მიზნებისათვის სასარგებლო მცირერიცხოვანი და გადაშენების პირას მისული ენდემური, აბორიგენული ჯიშების გენოფონდის შენარჩუნებას.

საქართველოს კანონმდებლობა სანაშენე მეცხოველეობის შესახებ შედგება ამ კანონისა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებისაგან. თუ საქართველოს კანონმდებლობა სანაშენე მეცხოველეობის შესახებ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ ენიჭება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

### მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ცხენის, ფრინველის, ბოცვერის, თევზისა და ფუტკრის მოშენებისა და გამოყენების სფეროზე.

ეს კანონი არ ვრცელდება სასაქონლო წარმოებაში შინაურ და გარეულ ცხოველთა გამოყენების სფეროზე.

აკრძალულია გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენება სანაშენე მეცხოველეობაში.

ამ კანონში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი ცნებები:

სანაშენე მეცხოველეობა - სანაშენე ცხოველთა მოშენებისა და სანაშენე პროდუქციის გამოყენების დარგი.

სანაშენე ცხოველი - ჯიშის აღწარმოებისათვის განკუთვნილი ცხოველი, რომელიც რეგისტრირებულია არსებული წესით.

სანაშენე პროდუქცია - სანაშენე ცხოველი, მისი თესლი და ემბრიონი.

სანაშენე მეცხოველეობის საწარმო - იურიდიული პირი, გლეხური (ფერმერული) მეურნეობა, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას სანაშენე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ან სანაშენე მეცხოველეობის მომსახურების სფეროში.

ბონიტირება - სანაშენე ცხოველის სანაშენე და პროდუქტიული თვისებების შეფასება და მათი აღიარება.

სანაშენე ღირსება - ცხოველის გენეტიკური პოტენციალი და მისი გავლენა შთამომავლობის სამეურნეო-სასარგებლო თვისებებზე.

სანაშენე ცხოველთა პროდუქტიულობა - სანაშენე ცხოველთა სამეურნეო-სასარგებლო თვისებათა ერთობლიობა მათგან მიღებული პროდუქციის ხარისხის ჩათვლით.

ხალასჯიშიანი ცხოველი -ერთი და იგივე ჯიშის მშობლებისაგან წარმოშობილი სანაშენე ცხოველი.

ხალასჯიშიანი მოშენება -ერთი და იგივე ჯიშის ცხოველთა მოშენება ჯიშისათვის დამახასიათებელი თვისებების კონსოლიდაციისა და ტიპიზაციის მიზნით.

მცირერიცხოვანი (გენოფონდური) ჯიში -გენეტიკურ-სელექციური თვისებებით განსხვავებული და გაქრობის წინაშე მყოფი განსაზღვრული ჯიშის იშვიათ ცხოველთა ჯგუფი.

სანაშენე პროდუქციის სახელმწიფო რეგისტრაცია -სანაშენე ცხოველთა ან სანაშენე პროდუქციის სახელმწიფო რეგისტრაცია -სანაშენე ცხოველთა ან სანაშენე პროდუქციის შესახებ ცნობების ფიქსაცია სახელმწიფო სანაშენე წიგნში ან სახელმწიფო სანაშენე რეესტრში ცხოველთა შთამომავლობის განსაზღვრისა და პროდუქტიულობის დასადგენად მათი იდენტიფიკაციის მიზნით.

სახელმწიფო სანაშენე წიგნი -ცხოველთა ხალასი მოშენების შედეგად მიღებული ჯიშისათვის განსაკუთრებული ღირსების სანაშენე თვისებათა მონაცემების კრებული.

სახელმწიფო სანაშენე რეესტრი -სანაშენე ნახირის (კოლტის, ჯოგის) შესახებ მონაცემების კრებული.

სერტიფიკატი (მოწმობა) -ცხოველის წარმოშობის, პროდუქტიულობის და სხვა სანაშენე თვისებების, თესლის ან ემბრიონის ხარისხობრივი მაჩვენებლების დამადასტურებელი საბუთი.

ნიშანდება -სანაშენე პირუტყვის დანომვრა, ტატუირება, დადაღვა და ცხოველისათვის სხვა განუყოფელი ნიშნის დადება, რომელიც მისი იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.

## თავი II.

## სანაშენე მეცხოველეობის დარგში ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლები

### მუხლი 3. სანაშენე პროდუქცია, როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტი

სანაშენე მეცხოველეობის დარგში წარმოშობილი ქონებრივი და მასთან დაკავშირებული არაქონებრივი ურთიერთობანი რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობით და ამ კანონით.

აკრძალულია სანაშენე ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობა. ასეთი ქმედობა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

სანაშენე მეცხოველეობის პროდუქცია სანაშენე საწარმოთა ქონების შემადგენელი ნაწილია.

### მუხლი 4. სანაშენე მეცხოველეობის საწარმოს ქონებაზე საკუთრების უფლება

სანაშენე მეცხოველეობის საწარმოს ქონება, მათ შორის სანაშენე პროდუქცია, შეიძლება იყოს სახელმწიფო საკუთრება ან საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საკუთრება.

სანაშენე მეცხოველეობის საწარმოს სახელმწიფო ქონების გამიჯვნა სახელმწიფო ქონებად და საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირების ქონებად ხორციელდება 'საკუთრების უფლების შესახებ" და 'მეწარმეთა შესახებ" კანონებით.

### მუხლი 5. სანაშენე პროდუქციაზე განსაკუთრებული უფლება

სანაშენე მეცხოველეობის სფეროში საავტორო უფლებების, სელექციური მიღწევების დაცვა და მათი გამოყენება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 6. სანაშენე პროდუქციის ბრუნვისუნარიანობა**

სანაშენე პროდუქცია შეიძლება იყოს მხოლოდ აღწარმოების მიზნით სანაშენე ცხოველთა მოშენების მონაწილეთა კუთვნილება.

სანაშენე პროდუქციის გასხვისება ან უფლებათა სხვაგვარი გადაცემა დაშვებულია სპეციალური სერტიფიკატის (მოწმობის) მეშვეობით, რომლის გაცემის წესი დადგენილია კანონით.

**მუხლი 7. სანაშენე მეცხოველეობის საწარმოს ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურებანი**

სანაშენე მეცხოველეობის საწარმო იქმნება და ფუნქციონირებს საქართველოს ერთიან ეკონომიკურ სივრცეში, საკუთრების ფორმების მრავალსახეობისა და კონკურენციის პირობებში.

სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო საწარმოს საქმიანობის პროფილის შეცვლა შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

**მუხლი 8. სანაშენე მეცხოველეობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენება**

სანაშენე მეცხოველეობისათვის მიწის ნაკვეთის ფლობის უფლება, მისი მიღება, დაცვის ზონები, გამოყენების რეჟიმი დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

**მუხლი 9. სანაშენე ცხოველთა და სანაშენე პროდუქციის იმპორტი და ექსპორტი**

სანაშენე ცხოველთა და სანაშენე პროდუქციის იმპორტი და ექსპორტი ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი III.

## სანაშენე მეცხოველეობის მართვა

**მუხლი 10. სანაშენე მეცხოველეობის საქართველოს სახელმწიფო სამსახური**

საქართველოს სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახური არის სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო ორგანოთა ერთიანი სისტემა.

სანაშენე მეცხოველეობის საქართველოს სახელმწიფო სამსახური:

ატარებს სანაშენე მეცხოველეობაში ერთიან სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას;

ორგანიზაციას უწევს სანაშენე მეცხოველეობის განვითარების რესპუბლიკური და რეგიონალური სახელმწიფო პროგრამების დამუშავებასა და რეალიზაციას;

უზრუნველყოფს სანაშენე პროდუქციის საიმედო ექსპერტიზას;

ამტკიცებს სანაშენე ცხოველთა სტანდარტებსა და ნორმებს, სანაშენე მუშაობის წესებს; ატარებს სანაშენე ცხოველების და სანაშენე ნახირის რეგისტრაციას სანაშენე ცხოველთა სახელმწიფო სანაშენე წიგნში ან სახელმწიფო რეესტრში;

გასცემს შთამომავლობის პროდუქტიულობისა და სანაშენე პროდუქციის სხვა ხარისხების დამადასტურებელ სერტიფიკატებს;

ადგენს სანაშენედ გამოსაყენებელი ცხოველების ზოოლოგიურ სახელთა ჩამონათვალს;

განსაზღვრავს სანაშენე მეცხოველეობის საწარმოთა კატეგორიებს;

ამუშავებს წინადადებებს სახელმწიფოს მიერ სანაშენე მეცხოველეობის სტიმულირების მიზნით, მათ შორის მცირერიცხოვანი (საგენოფონდო) ენდემური ჯიშების გადასარჩენად;

კოორდინირებას უწევს სანაშენე მეცხოველეობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას.

**მუხლი 11. სანაშენე მეცხოველეობის მართვის ორგანოები**

სანაშენე მეცხოველეობის საქმიანობას კოორდინირებას უწევს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

სანაშენე მეცხოველეობის მართვის ორგანოს სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

სანაშენე მეცხოველეობას ადგილებზე მართავენ სანაშენე მეცხოველეობის მართვის ადგილობრივი ორგანოები.

**მუხლი 12. სანაშენე მეცხოველეობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები**

საქართველოს სანაშენე მეცხოველეობის მართვის ორგანოების ხელმძღვანელები იმავდროულად არიან სანაშენე მეცხოველეობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები.

სანაშენე მეცხოველეობის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ:

შეუფერხებლად შევიდნენ სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო საწარმოში და უსასყიდლოდ მიიღონ საჭირო ინფორმაცია;

რჩევა მისცენ სანაშენე მეცხოველეობის საწარმოს სანაშენე მეცხოველეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე და კონტროლი გაუწიონ მის შესრულებას;

სანაშენე მეცხოველეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში მიმართონ სათანადო ადმინისტრაციულ ორგანოებს;

განახორციელონ ზედამხედველობა სელექციაში და სანაშენე პროდუქციის აღწარმოებაში ახალი ტექნოლოგიების, ინსტრუმენტების, დანადგარებისა და მასალების გამოყენებაზე;

არ დაუშვან სანაშენე პროდუქციის გამოყენება სერტიფიკატის გარეშე.

სანაშენე მეცხოველეობის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორების საქმიანობის წესსა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

## თავი IV.

## სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო რეგულირება

**მუხლი 13. სანაშენე მეცხოველეობის პროდუქციის სახელმწიფო რეგისტრაცია**

სანაშენე ცხოველთა რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნს და სახელმწიფო რეესტრს აწარმოებენ სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახურის ორგანოები.

სანაშენე პროდუქციის სახელმწიფო რეგისტრაცია ხდება სანაშენე ცხოველთა რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნში და სახელმწიფო სანაშენო რეესტრში სპეციალური ჩანაწერით.

რეგისტრაციაში ატარებენ სანაშენე ცხოველებს, სანაშენე ნახირს, საჭირო შემთხვევაში სხვა სანაშენე პროდუქციას.

სანაშენე ცხოველთა რეგისტრაციის სახელმწიფო წიგნსა და სახელმწიფო სანაშენე რეესტრში ფიქსირდება მონაცემები სანაშენე ცხოველის, ნახირის სანაშენე ღირსებებისა და პროდუქტიულობის ხარისხის შესახებ, აგრეთვე სხვა მონაცემები მათი იდენტიფიკაციისათვის, შთამომავლობის დადგენისა და სამეურნეო ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით.

სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებულ პირთათვის.

**მუხლი 14. სანაშენე პროდუქციის სერტიფიკაცია**

სანაშენე პროდუქცია ექვემდებარება აუცილებელ შემოწმებას (სერტიფიკაციას) სტანდარტით დადგენილი ნორმებისა და წესების შესაბამისობასთან დაკავშირებით.

სანაშენე პროდუქციის სერტიფიკაცია ტარდება წარმოების პროდუქტიული პოტენციალის, გენეტიკური მანკიერების არარსებობის და სხვა სანაშენე ხარისხების განსაზღვრის დოკუმენტური დადასტურების მიზნით.

სერტიფიკაციის შესახებ დოკუმენტი (სერტიფიკატი) არის კონკრეტული ცხოველის სანაშენედ აღიარების საფუძველი და იძლევა ეფექტურობის განმსაზღვრელი მინიმალური დონის გარანტიას, თუ მისი გამოყენებისას სანაშენე მასალის მომხმარებელი დაიცავს მიმწოდებლის მიერ რეკომენდებულ ტექნოლოგიას.

სანაშენე პროდუქციის სერტიფიკაციას ატარებენ სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახურის ორგანოები მეცხოველეობის საკონტროლო-საცდელი სადგურების, იპოდრომების, რძის ხარისხის, სასელექციო კონტროლის, მატყლის, იმუნოგენეტიკური ექსპერტიზის ლაბორატორიების მეშვეობით.

სანაშენე პროდუქციის სერტიფიკაციის ჩატარების წესი განისაზღვრება სერტიფიკაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 15. სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო სტიმულირება**

სანაშენე მეცხოველეობის განვითარებისთვის სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე, რომელიც მუშავდება სოფლის მეურნეობის მართვის ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სანაშენე მეცხოველეობის დაფინანსება ხორციელდება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სახელმწიფო პროგრამის შესაბამისადამუშავებენ ადგილობრივი პირობებისათვის სანაშენე მეცხოველეობის განვითარების პროგრამებს და ახორციელებენ მათ.

**მუხლი 16. სანაშენე მეცხოველეობის სამეცნიერო უზრუნველყოფა**

სანაშენე მეცხოველეობის სამეცნიერო უზრუნველყოფას ახორციელებენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები.

აღნიშნული დაწესებულებები სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახურის ორგანიზაციებთან ერთად ამუშავებენ:

სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებს სანაშენე მეცხოველეობაში;

სანაშენე ცხოველთა აღწარმოების პროცესის მეთოდებსა და წესებს;

სანაშენე პროდუქციის შეფასებისა და გენეტიკური კონტროლის მეთოდიკას და ტექნიკურ საშუალებებს;

სანაშენე მეცხოველეობის საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემებს;

ვეტერინარულსამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

## თავი V.

## სანაშენე პროდუქციის აღიარება და მისი შეფასება (ბონიტირება)

### მუხლი 17. ჯიშის აღწარმოების მიზნითსანაშენე ცხოველის გამოყენების პირობები

სანაშენე ცხოველი ჯიშის აღწარმოებისათვის გამოიყენება იმ პირობით,თუ:

ა)არსებობს სანაშენე ცხოველის ნიშანდება ან სხვა წესითაღნიშვნა,რომელიც იძლევა მისი ზუსტი იდენტურობის დადგენის საშუალებას;

ბ)სანაშენე ცხოველი რეგისტრირებულია ან არსებობს სერტიფიკატი,რომელიც ადასტურებს მის წარმოშობას,სანაშენე და პროდუქტიულობის ხარისხს.

### მუხლი 18. სანაშენე ცხოველის თესლის გამოყენების პირობები მისი მოშენების მიზნით

სარეალიზაციოდ წარმოებული სანაშენე ცხოველის თესლი გამოიყენება მისი მოშენებისათვის იმ პირობით,თუ:

ა)მიღებულია ხელოვნური დათესლვის საწარმოში;

ბ)მიღებულია სანაშენე ცხოველისაგან,რომელიც რეგისტრირებულია და სერტიფიცირებულია დადგენილი წესით;

.გ)აქვს ზუსტი ნიშანდება,რომელიც იძლევა მისი იდენტიფიკაციის საშუალებას;

დ)აქვს დადგენილი ნიმუშის სერტიფიკატი.

სანაშენე ცხოველის თესლი შეიძლება გაიყიდოს,გადაეცეს სხვა პირებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის საწარმოების მიერ.

### მუხლი 19. სანაშენე ცხოველთა მოშენების მიზნითემბრიონის გამოყენების პირობები

სანაშენე ცხოველის ემბრიონის გამოყენება დაშვებულია იმ პირობით,თუ იგი:

ა)მიღებულია ემბრიონის ტრანსპლანტაციის საწარმოში;

ბ)წარმოშობილია სანაშენე ცხოველისაგან,რომელიც რეგისტრირებული და სერტიფიცირებულია დადგენილი წესით;

გ)ნიშანდებულია ზუსტი იდენტიფიცირების გარანტიით;იმ შემთხვევაში,თუ ემბრიონი ცხოველში იმყოფება,უკანასკნელი ექვემდებარება ნიშანდებას;

დ)სერტიფიკატის არსებობის პირობებში დადგენილი ფორმის სანაშენე პირუტყვის ემბრიონის რეალიზაციის ან სხვა პირებზე გადაცემის უფლება აქვს მხოლოდ ემბრიონის ტრანსპლანტაციის საწარმოს.

### მუხლი 20. სანაშენე პროდუქციის შეფასება

სანაშენე პროდუქციის შეფასება ხდება ცხოველთა ბონიტირების ჩატარებით, თესლისა და ემბრიონის ხარისხისა და სანაშენე ღირსებების განსაზღვრით.

ცხოველთა ბონიტირება ტარდება ყოველწლიურად, სანაშენე მეცხოველეობის ყველა საწარმოში;

სანაშენე მეცხოველეობის მართვის ორგანო ადგენს სანაშენე პროდუქციის შეფასების წესს და ამ შეფასებისთვის გამოყოფს რწმუნებულ პირებს.

**მუხლი 21. სანაშენე ცხოველი-მწარმოებლის შეფასება**

სანაშენე ცხოველი-მწარმოებელი შერჩეული ჯიშის აღწარმოებისათვის ექვემდებარება შეფასებას შთამომავლობის ხარისხის ან საკუთარი პროდუქტიულობის შესამოწმებლად.

სანაშენე ცხოველი-მწარმოებლის შემოწმებასა და შეფასებას ატარებენ სანაშენე მეცხოველეობის საწარმოში, სადაც მიღწეულია პროდუქტიულობის დადგენილი დონე.

სანაშენე ცხოველი-მწარმოებლის შემოწმებასა და შეფასებას ატარებენ სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახურის სპეციალისტები.

სანაშენე ცხოველი-მწარმოებლის შემოწმება და შეფასება ტარდება სანაშენე მეცხოველეობის მართვის ორგანოს მიერ დამტკიცებული მეთოდიკის შესაბამისად.

**მუხლი 22. ბონიტირების შედეგების გამოყენება**

სანაშენე მეცხოველეობის საქართველოს სახელმწიფო სამსახური აჯამებს და განაზოგადებს ცხოველთა ბონიტირების მონაცემებს და მის შედეგებს აწვდის დაინტერესებულ პირებს, მაღალი ღირსების სანაშენე ცხოველების ეფექტური გამოყენების მიზნით.

## თავი VI.

## სანაშენე მეცხოველეობაში საქმიანობის ორგანიზება

**მუხლი 23. სანაშენე მეცხოველეობაში საქმიანობის ორგანიზების ძირითადი პრინციპები**

სანაშენე მეცხოველეობაში საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

სანაშენე ცხოველთა მოშენებისა და სანაშენე პროდუქციის გამოყენების მიზანია მეცხოველეობის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

გარკვეული ჯიშის ცხოველთა რაოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს ჯიშის შენარჩუნებას სანაშენე ცხოველთა ხალასჯიშიანი მოშენებისათვის;

სანაშენე ცხოველთა საწარმოს უნდა ჰყავდეს მომზადებული პერსონალი და ჰქონდეს საჭირო ხელსაწყო-დანადგარები.

**მუხლი 24. სანაშენე მეცხოველეობის საწარმო**

სანაშენე მეცხოველეობის საწარმო, გლეხური (ფერმერული) მეურნეობა არის იურიდიული პირი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სანაშენე ცხოველთა მოშენება, სანაშენე პროდუქციის გამოყენება ან ამ დარგის მომსახურება.

სანაშენე მეცხოველეობის საწარმოთა აღრიცხვას აწარმოებენ საქართველოს სანაშენე მეცხოველეობის მართვის სახელმწიფო ორგანოების მიერ დაწესებული ფორმით.

მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც ეწევიან მეწარმეობას სანაშენე მეცხოველეობის სფეროში და არ გააჩნიათ იურიდიული პირის სტატუსი, გამოიყენება ამ კანონით გათვალისწინებული წესები.

**მუხლი 25. სანაშენე მეცხოველეობის საწარმოთა სახეები**

სანაშენე მეცხოველეობის საწარმოებს მიეკუთვნებიან კანონით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული შემდეგი საწარმოები:

ა) სამომშენებლო საწარმო;

ბ) სანაშენე რეპროდუქტორი;

გ) ხელოვნური დათესლვის საწარმო;

ე) სანაშენე მუშაობის სასოფლო-სამეურნეო საწარმო, სანაშენე აღრიცხვის, კონტროლის, პროდუქციის ხარისხის, ცხოველთა პროდუქტიულობის დონისა და სანაშენე ღირსების შემფასებელი (მეცხოველეობის საკონტროლო-საცდელი სადგური, იპოდრომი, რძის ხარისხის, სასელექციო კონტროლის ლაბორატორია, მატყლის, იმუნოგენეტიკური ექსპერტიზის, საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრები) და სხვა საწარმოები, რომლებიც ეწევიან საქმიანობას სანაშენე მეცხოველეობის სფეროში.

**მუხლი 26. სამომშენებლო საწარმო**

სამომშენებლო საწარმო სანაშენე მეცხოველეობის საწარმოთა უმაღლესი კატეგორიაა. მას ჰყავს სანაშენე ცხოველთა განსაზღვრული ჯიშის მაღალპროდუქტიული ნახირი, სადაც გამოიყენება მხოლოდ ხალასჯიშიანი მოშენება, ხოლო შეჯვარება დაშვებულია საქართველოს სანაშენე მეცხოველეობის მართვის ორგანოსთან შეთანხმებით. სამომშენებლო საწარმოს, როგორც წესი, გამოჰყავს სანაშენე ცხოველები სანაშენე რეპროდუქტორებისათვის.

**მუხლი 27. სანაშენე რეპროდუქტორი**

სანაშენე რეპროდუქტორი არის მეურნეობა, ცხენსაშენი, სანაშენე ფერმა, რომელიც ეწევა სანაშენე ცხოველთა მოშენებას მეცხოველეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

**მუხლი 28. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის საწარმო**

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის საწარმო ინახავს სანაშენე ცხოველებს (მწარმოებლებს), რომლებსაც იყენებს თესლის მისაღებად. საწარმო ახორციელებს თესლის მიღებას, დამუშავებას, ხარისხის კონტროლს, თესლის შენახვასა და მიწოდებას სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის ჩასატარებლად, ახდენს ყველა ტექნოლოგიური პროცესის რეგისტრირებას.

ხელოვნური დათესლვის საწარმოს დაარსება ხდება საქართველოს სანაშენე მეცხოველეობის მართვის ორგანოსთან შეთანხმებით.

**მუხლი 29. ემბრიონების ტრანსპლანტაციის საწარმო**

ემბრიონების ტრანსპლანტაციის საწარმო ატარებს სამუშაოს სანაშენე ცხოველთა ემბრიონების მიღების, დამუშავების, ტრანსპლანტაციის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის გადაცემის მიზნით, ახდენს ყველა ტექნოლოგიური პროცესის რეგისტრირებას. ემბრიონების ტრანსპლანტაციის საწარმოს დაარსება ხდება საქართველოს სანაშენე მეცხოველეობის მართვის ორგანოსთან შეთანხმებით.

**მუხლი 30. სანაშენე მუშაობის სასოფლო-სამეურნეო საწარმო, სანაშენე აღრიცხვის, კონტროლის, პროდუქციის ხარისხის, ცხოველთა პროდუქტიულობის დონისა და სანაშენე ღირსების შემფასებელი საწარმოები**

სანაშენე მუშაობის სასოფლო-სამეურნეო საწარმო,სანაშენე აღრიცხვის, კონტროლის,პროდუქციის ხარისხის,ცხოველთა პროდუქტიულობის დონისა და სანაშენე ღირსების შემფასებელი საწარმოები (მეცხოველეობის საკონტროლო-საცდელი სადგური,იპოდრომი,რძის ხარისხის სასელექციო კონტროლის ლაბორატორია,მატყლის,იმუნოგენეტიკური ექსპერტიზის,საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი)მოწოდებულნი არიან სანაშენე ცხოველთა გენოტიპური და ფენოტიპური თვისებების აღრიცხვის მხრივ უზრუნველყონ სანაშენე მეცხოველეობის მომსახურება.

## თავი VII.

## ხელოვნური დათესლვა და ემბრიონის ტრანსპლანტაცია

### მუხლი 31. თესლისა და ემბრიონის გამოყენება სანაშენე ცხოველთა მოშენებაში

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ემბრიონების ტრანსპლანტაციის ან ხელოვნური დათესლვის საწარმოებში მიღებული სანაშენე ცხოველთა თესლი და ემბრიონები გამოიყენება სანაშენე ცხოველთა გასამრავლებად.

ხელოვნურ დათესლვას ან ემბრიონების ტრანსპლანტაციას ასრულებს სპეციალისტი, რომელიც დაშვებულია ამ სამუშაოების შესასრულებლად კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### მუხლი 32. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის ჩატარების ნებართვა

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის ნებართვას გასცემს სანაშენო მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახური.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის ჩატარების ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში თუ:

შესაბამის საწარმოს ჰყავს საჭირო პერსონალი და აქვს სპეციალური ხელსაწყო-დანადგარები;

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის ორგანიზაციის დროს უზრუნველყოფილია ეპიზოოტიის საწინააღმდეგო აუცილებელსანიტარიულ-ჰიგიენურ და ვეტერინარულმოთხოვნათა დაცვა.

### მუხლი 33. განაცხადი სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნურ დათესლვაზე

განაცხადი სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვაზე წარედგინება სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახურს.

აღნიშნული განაცხადი უნდა შეიცავდეს:განმცხადებლის სახელწოდებას და ადგილმდებარეობას,სახელმწიფო ხელისუფლების დაინტერესებულორგანოებთან შეთანხმებულსავარაუდო სამოქმედო უბანს.

სამოქმედო უბნის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში,სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია წარადგინოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესლვის ჩატარებაზე ახალი განაცხადი.

### მუხლი 34. ემბრიონის ტრანსპლანტაციის ნებართვა

ემბრიონის ტრანსპლანტაციის ნებართვას გასცემს სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახური.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ემბრიონის ტრანსპლანტაციის ნებართვა ეძლევა ემბრიონთა ტრანსპლანტაციის საწარმოს,შესაბამისი პერსონალის,ხელსაწყო-

დანადგარების, ზოო-ვეტერინარული და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების არსებობის შემთხვევაში.

**მუხლი 35.** განაცხადი სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ემბრიონის ტრანსპლანტაციაზე

განაცხადი ემბრიონის ტრანსპლანტაციაზე წარედგინება სანაშენე მეცხოველეობის სახელმწიფო სამსახურს.

აღნიშნული განაცხადი უნდა შეიცავდეს: განმცხადებლის სახელწოდებას და ადგილმდებარეობას, დაინტერესებულ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებულ სავარაუდო სამოქმედო უბანს.

სამოქმედო უბნის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში ემბრიონის ტრანსპლანტაციის საწარმოს ხელმძღვანელი ვალდებულია წარადგინოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ემბრიონის ტრანსპლანტაციაზე ახალი განაცხადი.

## თავი VIII.

## სანაშენე მეცხოველეობაში საქმიანობასთან დაკავშირებული დავის გადაჭრა

**მუხლი 36.** სანაშენე მეცხოველეობაში საქმიანობასთან დაკავშირებული დავის გადაჭრა

სანაშენე მეცხოველეობაში საქმიანობისას ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შორის წამოჭრილი დავები გადაიჭრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 37.** დავის გადაჭრა სამამულო და უცხოური გენოფონდის გამოყენების დროს

დავა სანაშენე მეცხოველეობში სამამულო და უცხოური გენოფონდის გამოყენების საკითხებზე სანაშენე მეცხოველეობის საწარმოთა შორის, რომლებიც განლაგებულია საქართველოსა და უცხო ქვეყნების ტერიტორიებზე, გვარდება საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

**მუხლი 38.** პასუხისმგებლობა სანაშენე მეცხოველეობის შესახებ კანონის დარღვევისთვის

სანაშენე მეცხოველეობის შესახებ კანონის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## თავი IX.

## საერთაშორისო თანამშრომლობა

**მუხლი 39.** საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველო მხარს უჭერს სანაშენე მეცხოველეობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას.

საერთაშორისო თანამშრომლობა სანაშენე მეცხოველეობაში ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

საერთაშორისო თანამშრომლობისას საქართველოს სანაშენე მეცხოველეობის მართვის ორგანო წარმოადგენს და იცავს საქართველოს ინტერესებს სანაშენე სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გამოყენებისა და გენოფონდის აღწარმოების სფეროში.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1996 წლის 5 სექტემბერი.

მუხლი 1. „სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №22-23, 17.10.96, გვ. 43) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ცხენის, ფრინველის, ბოცვრის, თევზისა და ფუტკრის მოშენების და გამოყენების სფეროზე.

2. ეს კანონი არ ვრცელდება სასაქონლო წარმოებაში შინაურ და გარეულ ცხოველთა გამოყენების სფეროზე.

3. აკრძალულია გენური ინჟინერიის მეთოდების გამოყენება სანაშენე მეცხოველეობაში.

4. ამ კანონში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი ცნებები:

ა) სანაშენე საქმიანობა მეცხოველეობაში - სანაშენე ცხოველთა მოშენება და სანაშენე პროდუქციის წარმოება;

ბ) სანაშენე ცხოველი - ჯიშის აღწარმოებისათვის განკუთვნილი ცხოველი, რომელიც რეგისტრირებულია არსებული წესით;

გ) სანაშენე პროდუქცია - სანაშენე ცხოველი, მისი თესლი და ემბრიონი;

დ) სანაშენე მეცხოველეობის საწარმო - იურიდიული პირი, გლეხური (ფერმერული) მეურნეობა, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას სანაშენე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ან სანაშენე მეცხოველეობის მომსახურების სფეროში;

ე) ბონიტირება - სანაშენე ცხოველის სანაშენე და პროდუქტიული თვისებების შეფასება და აღიარება;

ვ) სანაშენე ღირსება - ცხოველის გენეტიკური პოტენციალი და მისი გავლენა შთამომავლობის სამეურნეო-სასარგებლო თვისებებზე;

ზ) სანაშენე ცხოველთა პროდუქტიულობა - სანაშენე ცხოველთა სამეურნეო-სასარგებლო თვისებათა ერთობლიობა, მათგან მიღებული პროდუქციის ხარისხის ჩათვლით;

თ) ხალასჯიშიანი ცხოველი - ერთი და იმავე ჯიშის მშობლებისაგან წარმოშობილი სანაშენე ცხოველი;

ი) ხალასჯიშიანი მოშენება - ერთი და იმავე ჯიშის ცხოველთა მოშენება ჯიშისათვის დამახასიათებელი თვისებების კონსოლიდაციისა და ტიპიზაციის მიზნით;

კ) მცირერიცხოვანი (გენოფონდური) ჯიში - გენეტიკურ-სელექციური თვისებებით განსხვავებული და გაქრობის წინაშე მყოფი განსაზღვრული ჯიშის იშვიათ ცხოველთა ჯგუფი;

ლ) სანაშენე პროდუქციის სახელმწიფო რეგისტრაცია - სანაშენე პროდუქციის შესახებ ცნობების ფიქსაცია სახელმწიფო სანაშენე წიგნში ან სახელმწიფო სანაშენე რეესტრში ცხოველთა შთამომავლობის განსაზღვრისა და პროდუქტიულობის დასადგენად მათი იდენტიფიკაციის მიზნით;

მ) სახელმწიფო სანაშენე წიგნი - ცხოველთა ხალასჯიშიანი მოშენების შედეგად მიღებული ჯიშისათვის განსაკუთრებული ღირსების სანაშენე თვისებათა მონაცემების კრებული;

ნ) სახელმწიფო სანაშენე რეესტრი - სანაშენე ნახირის (კოლტის, ჯოგის) შესახებ მონაცემების კრებული;

ო) სერტიფიკატი (მოწმობა) - ცხოველის წარმოშობის, პროდუქტიულობის და სხვა სანაშენე თვისებების, თესლის ან ემბრიონის ხარისხობრივი მაჩვენებლების დამადასტურებელი საბუთი;

პ) ნიშანდება - სანაშენე პირუტყვის დანომვრა, ტატუირება, დადაღვა და ცხოველისათვის სხვა განუყოფელი ნიშნის დადება, რომელიც იძლევა მისი იდენტიფიკაციის საშუალებას.".

2. მე-16 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $16^1$-$16^4$ მუხლები:

„მუხლი $16^1$. სანაშენე მეცხოველეობის სფეროს ლიცენზირება

სანაშენე მეცხოველეობის სფეროში ლიცენზირებადი საქმიანობის სახეებია:

ა) სანაშენე საქმიანობა მეძროხეობაში;

ბ) სანაშენე საქმიანობა მეკამეჩეობაში;

გ) სანაშენე საქმიანობა მეცხენეობაში;

დ) სანაშენე საქმიანობა მეცხვარეობაში;

ე) სანაშენე საქმიანობა მეთხეობაში;

ვ) სანაშენე საქმიანობა მეღორეობაში;

ზ) სანაშენე საქმიანობა მეფრინველეობაში;

თ) სანაშენე საქმიანობა მებოცვრეობაში;

ი) სანაშენე საქმიანობა მეთევზეობაში;

კ) სანაშენე საქმიანობა მეფუტკრეობაში.

მუხლი $16^2$. სალიცენზიო პირობები

1. ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას.

2. „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბუთების გარდა განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) ვეტერინარული სამსახურის მიერ გაცემული ცნობა სადგომი ბინის ვეტერინარულ-სანიტარიული მდგომარეობის შესახებ;

ბ) ინფორმაცია ხალასად მოსაშენებელი ჯიშების შესახებ;

გ) ინფორმაცია კადრების (მხოლოდ ტექნოლოგიურ პროცესზე პასუხისმგებელი პირების) კვალიფიკაციის შესახებ.

3. ლიცენზიის გამცემი ვალდებულია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოდან გამოითხოვოს ცნობა ცხოველთა მოშენების ტერიტორიაზე ეპიზოოტიური მდგომარეობის შესახებ.

მუხლი $16^3$. სალიცენზიო მოწმობის ფორმა

სალიცენზიო მოწმობის ფორმა განისაზღვრება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი $16^4$. სალიცენზიო პირობების შემოწმების წესი

1. ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია ლიცენზიის მაძიებლის თანდასწრებით ადგილზე შეამოწმოს სალიცენზიო პირობები სათანადო წერილობითი დასკვნის გაფორმებით. თუ ადგილზე შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს, ლიცენზია არ გაიცემა.

2. თუ ამ კანონის $16^2$ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცნობით დასტურდება ცხოველთა მოშენების ტერიტორიაზე არაკეთილსაიმედო ეპიზოოტიური

მდგომარეობა, ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეათე თავი:

„თავი X

გარდამავალი დებულება

მუხლი 40. გარდამავალი დებულება

ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობით დაკავებული პირები ვალდებულნი არიან ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში აიღონ შესაბამისი ლიცენზია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების დღიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,

2003 წლის 7 მაისი.